



საქართველო

Deloitte Legal

19 ივლისი 2021

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

**რატიფიცირებულია გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის კონვენცია „მედიაციის შედეგად
მიღწეული მორიგების საერთაშორისო
შეთანხმებების შესახებ“**

2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა გამოსცა დადგენილება „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე.

დადგენილებაში პარლამენტმა გაითვალისწინა ორი დათქმა:

1. საქართველო აცხადებს, რომ ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ მორიგების შეთანხმებების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის ის ან რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის რომელიმე სახელმწიფო უწყება ან რომელიმე სახელმწიფო უწყების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი;
2. საქართველო აცხადებს, რომ ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებზედაც მორიგების შეთანხმების მხარეები შეთანხმდებიან კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

2021 წელს 22 ივნისს შევიდა ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლებიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე (2021 წლის 24 ივნისს).

ამ ცვლილებების მიზანია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაეროს კონვენციის დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში. ამ მიზნით, ცვლილებები ითვალისწინებს ახალ პროცედურასა და სასამართლო ბაჟებს შემდეგ განცხადებებზე:

- სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება;
- სამედიაციო მორიგების აღსრულება;
- საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება.

ახალი წესები განსაზღვრავს პროცედურას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ აღნიშნული განცხადებების განხილვისას. გარდა ამისა, ცვლილებები ითვალისწინებს საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლო უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

ინიცირებული ცვლილებები საქართველოს კანონში

№2/1/877 სარჩელზე მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის გარკვეული დებულებები, საქართველოს პარლამენტში მოხდა საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად და შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

ცვლილებები მოიცავს, მათ შორის, ჩამოთვლილ საკითხებს:

- ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება ექნება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მოითხოვოს ინფორმაცია მოწყობილობათა და მატერიალურ მატარებელთა წარმოებისა და იმპორტის შესახებ;
- მიღებული ინფორმაციის დამუშავების წესის დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ცვლილებები საქართველოს კანონში „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“

2021 წლის 10 ივნისს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, რომლებიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე (2021 წლის 14 ივნისს).

ცვლილებების შედეგად, გადაიწია მინიმალური მოთხოვნების ძალაში შესვლის თარიღმა, რომლებიც მიემართება შემდეგ საკითხებს: (ა) შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობა; და შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობა. ეს მოთხოვნები ძალაში შევა 2022 წლის 30 ივნისს (2021 წლის 30 ივნისის ნაცვლად).


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.